ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ერთის მხრივ, სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი ---------- სახით, მეორეს მხრივ, ------- (შემდგომში “მიმწოდებელი“), წარმოდგენილი --------- სახით, შემდგომში ერთობლივად წოდებული მხარეებად, ვხელმძღვანელობთ რა, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და პრეტენდენტის სატენდერო წინადადების საფუძველზე, ----------ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება:

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებისა და საქართველოს მთავრობის 2022 წლის ----------განკარგულების საფუძველზე მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას შეასრულოს **ერთი ხელშეკრულების ფარგლებში Design-Build მეთოდით, იძულებით გადაადგილებული---------- მდებარე მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის მიზნით საჭირო განაშენიანების დეტალური გეგმა, მოამზადოს არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტი და მის საფუძველზე განახორციელოს სამშენებლო სამუშაოები წინამდებარე ხელშეკრულების დანართი #2-ის (ტექნიკური დავალება) შესაბამისად.**

1.2. მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება, მომსახურების გაწევასთან და სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და „მიმწოდებლისათვის“ კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით შეადგენს ჯამურად **---------- ლარს,** რომელიც დაფინანსდება **2022 – 2026 წლების სახელმწიფო ბიუჯეტიდან** ,,„შემსყიდველისათვის“ გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით.

1.3. ხელშეკრულების ზოგადი პირობების 1.2. პუნქტში მითითებული მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება არის ცვალებადი და ექვემდებარება პერიოდულ კორექტირებას საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (შემდგომში „საქსტატი“) მიერ გამოქვეყნებული „მშენებლობისთვის გამოყენებული მასალების ფასების ინდექსის“ გათვალისწინებით, ხოლო საქსტატის მიერ საქართველოს მთავრობის N753 განკარგულების მე-7 მუხლის „გ“ ქვეპუნკტით განსაზღვრული „ახალი ინდექსის“ ამოქმედების შემდეგ, რომელიც გამოქვეყნდება არაუგვიანეს 2022 წლის 01 ოქტომბრამდე იქნება ყოველთვიური, ამ ახალი ინდექსის (შემდგომში „ახალი ინდექსი“) გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილები:

2.1. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები და დანართები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:

ა) წინამდებარე ხელშეკრულება;

ბ) ხელშეკრულების ზოგადი პირობები;

გ) ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები;

დ) ტექნიკური დავალება;

ე) სატენდერო წინადადება;

ხელშეკრულების ზოგადი პირობები

3. ხელშეკრულების ტერმინები:

3.1. „ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები“ არის ხელშეკრულების დანართი, რომელიც აზუსტებს ამ ხელშეკრულების ზოგად პირობებს და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3.2. „ტექნიკური დავალება“ არის გასაწევი მომსახურების და შესასრულებელი სამუშაოების ტექნიკური პირობები, სპეციფიკაციები და მომსახურების / სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, რომლებიც მოცემულია ხელშეკრულების დანართებში. აღნიშნული დოკუმენტაცია წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.3. „ხელშეკრულების ფასი“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელზეც მხარეთა შორის გაფორმდა ხელშეკრულება.

3.4. „დღე“, „კვირა“, „თვე“, ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3.5. „პროექტი“ არის იმ მიზნებისა და ამოცანების ერთობლიობა, რომლებზეც ორიენტირებულია ეს ხელშეკრულება.

3.6. „შესრულებული სამუშაოების ანგარიში“ (შემდგომში - „შსა“) ნიშნავს სამუშაოების, ან მისი ნაწილის შესრულების დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელიც შეესაბამება მე-9 მუხლით („ხელშეკრულების საგნის მიღება-ჩაბარება“) განსაზღვრულ პირობებს

3.7. შსა თავის მხრივ უნდა მოიცავდეს:

ა) ობიექტის ექსპლოატაციაში მისაღებად საჭირო, საკადასტრო აზომვით ნახაზს, შენობა-ნაგებობ(ებ)ის დატანით (არსებობის შემთხვევაში);

ბ) ფარული სამუშაოების აქტებს (არსებობის შემთხვევაში)

გ) გამოყენებული სამშენებლო მასალების ლაბორატორიული გამოცდის დასკვნებს/ოქმებს (ტექნიკური დავალების შესაბამისად);

დ) სერთიფიკატებს (პასპორტებს) ქარხნული წესით დამზადებულ კონსტრუქციებზე (არსებობის შემთხვევაში);

ე) სერთიფიკატებს ან/და გათანაბრებულ დოკუმენტებს (წარმოშობისა და ხარისხის) გამოყენებულ მასალებზე (არსებობის შემთხვევაში);

ვ) შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების შუალედურ აქტებს;

ზ) სამუშაოთა წარმოების ჟურნალს;

თ) მიღება-ჩაბარების კომისიის წევრებთან შეჯერებულ დეფექტების აქტს (არსებობის შემთხვევაში);

ი) მშენებლობის ნებართვას (არსებობის შემთხვევაში);

კ) საშემსრულებლო ნახაზებს (არსებობის შემთხვევაში);

ლ) დანადგარების და მოწყობილობების გამოცდის ოქმებს (გათბობა-გაგრილების სისტემები, გენერატორები, ლიფტები და ა.შ.) (არსებობის შემთხვევაში);

მ) ინჟინრის მიერ გაცემულ თანხმობებს (არსებობის შემთხვევაში);

3.8. „ხარვეზი“ არის „მიმწოდებლის“ საქმიანობის შეუსაბამობა ამ ხელშეკრულების პირობებთან.

3.9. „სამშენებლო მოედანი“ არის მშენებლობის განხორციელების, დოკუმენტებით განსაზღვრული ტერიტორია, რომელიც აუცილებელია სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისათვის. ხელშეკრულების ფარგლებში შესაძლებელია არსებობდეს რამდენიმე სამშენებლო მოედანი. ასეთ შემთხვევაში, ხელშეკრულების შესრულების კონტროლი შეიძლება განხორციელდეს ინდივიდუალურად, თითოეულ მოედანთან მიმართებაში.

3.10. გადახდის უწყისი ან გადახდის სერთიფიკატი - არის შსა-ს, ან მიღება-ჩაბარების აქტისა და „მიმწოდებლის“ მიერ, დადგენილი წესით წარმოდგენილი ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, „შემსყიდველის“ მიერ დამოწმებული დოკუმენტი.

3.11. „დეფექტი“ („ნაკლი“, „წუნი“, „ხარვეზი“) არის ნივთობრივად და უფლებრივად ნაკლოვანი ნივთი/ შესრულება

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3.12. საექსპერტო დასკვნა ამ ხელშეკრულების მიზნებისთვის არის სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, აკრედიტებული პირის მიერ გაცემული საექსპერტო დასკვნა ***შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების მოცულობათა უწყისში მითითებული სამუშაოების მოცულობის დადგენის მიზნით*** *(ხელშეკრულების დანართი N2-ის, ტექნიკური დავალების შესაბამისად), რომლის ღირებულებას ანაზღაურებს „მიმწოდებელი".*

3.13. საექსპერტო დაწესებულება ამ ხელშეკრულების მიზნებისთვის არის სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო ან სხვა აკრედიტირებული პირი.

3.14. „დამფინანსებელი ბანკ(ებ)ი" - იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების შესასრულებლად საჭირო ფინანსური რესურსების მოსაზიდად კომერციულ ბანკთან გაფორმებული აქვს საკრედიტო ხაზის ან საკრედიტო ხელშეკრულება, მაშინ ამგვარი ბანკ(ებ)ი, რომლებიც ეცნობება შემსყიდველს წერილობით.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადები:

4.1 მომსახურების გაწევის და სამუშაოების შესრულების საერთო ვადა:

მომსახურების გაწევის და სამუშაოების შესრულების საერთო ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით.

4.2. სამუშაოების მიმდინარეობის შემოწმების მიზნით, მიმწოდებელი ვალდებულია, გაწეული მომსახურების საფუძველზე მომზადებული დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის ფარგლებში, სამუშაოების წარმოების დაწყებამდე, წარუდგინოს შემსყიდველს მასთან შეთანხმებული შინაარსისა და ფორმატის,--------- **დღეზე გაწერილი, სამუშაოების წარმოების ხაზობრივ-ფინანსური გრაფიკი (შემდგომში - „კალენდარული გრაფიკი"), რომელშიც თვალნათლივ უნდა იყოს ნაჩვენები სამუშაოების წარმოების ეტაპები, ასახული უნდა იყოს ეტაპის (შესასრულებელი სამუშაოების) მოცულობის პროცენტული მაჩვენებელი და შესაბამისი ღირებულება, ხელშეკრულების დანართი N1-ის შესაბამისად.**

4.3. ხელშეკრულების ზოგადი პირობების მე-14 მუხლით გათვალისწინებული მიზეზების არსებობისას, ხელშეკრულების ზოგადი პირობების 10.2. პუნქტით განსაზღვრული ზედამხედველის შუამდგომლობის საფუძველზე და 10.3. პუნქტით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირის მხრიდან თანხმობის შემთხვევაში, შესაძლებელია განხორციელდეს ხელშეკრულების ზოგადი პირობების 4.2 პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების საერთო ვადის ცვლილება. ამასთან, ხელშეკრულების ზოგადი პირობების 14.1.1.1. და 14.2. პუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში, ხელშეკრულების ზოგადი პირობების 4.2 პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების საერთო ვადა შეიცვლება (გაიზრდება) შესაბამისი ვადით, რისთვისაც არ არის საჭირო ზედამხედველის შუამდგომლობა და პასუხისმგებელი პირის თანხმობა.

4.4. ხელშეკრულების ზოგადი პირობების 4.2 პუნქტით გათვალისწინებული კალენდარული გრაფიკის ცვლილების შემთხვევაში, განახლებულ კალენდარულ გრაფიკში ნაჩვენები უნდა იყოს თითოეული სამუშაოს ფაქტიური პროგრესი და ის ზეგავლენა, რომელსაც ის იქონიებს დარჩენილი სამუშაოების ვადებზე და ღონისძიებების თანამიმდევრობაზე, კალენდარული გრაფიკის ცვლილება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების ზოგადი პირობების 10.2. და 10.3. პუნქტით განსაზღვრული პირებთან შეთანხმებით.

4.5. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები, გასატარებელი ღონისძიებები, დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის შემადგენლობა, საპროექტო მომსახურებისა და სამშენებლო სამუშოების მიწოდების პირობები და მიმწოდებლისთვის დადგენილი სხვა მოთხოვნები, რომელიც აუცილებელი იქნება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისთვის, მოცემულია ხელშეკრულების დანართი N2-ის (ტექნიკური დავალება) სახით, რომლის შემადგენელი ნაწილებია: ტექნიკური დავალება და სხვა არსებობის შემთხვევაში.

4.6. საპროექტო მომსახურების გაწევის ეტაპები და პირობები მოცემული არის ხელშეკრულების დანართ N2-ში (ტექნიკური დავალება).

4.7. მიმწოდებელი ვალდებულია, სამშენებლო სამუშაოები აწარმოოს ჩართულ მხარეებთან (ჩართული მხარეები არიან ხელშეკრულების სპეციფიურ პირობებში მითითებული ზედამხედველები) და შემსყიდველთან შეთანხმებული დეტალური პროექტისა და სამუშაოების მიწოდების კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

4.8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით.

5. დეფექტებზე პასუხისმგებლობისა და გარანტიის პერიოდი:

5.1. დეფექტებზე პასუხისმგებლობისა და გარანტიის პერიოდი შეადგენს **1 (ერთი) წელს** საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტით გათვალისწინებულ სამუშაოთა დასრულების თარიღიდან.

5.2. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული საპროექტო მომსახურება იქნება უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, არ გამოავლენს ხარვეზებს და შესრულებული იქნება შეთანხმებული ხარისხით, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ვალდებულია, საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზ(ებ)ის გამოსწორება. საპროექტო მომსახურება ნივთობრივად უნაკლოდ და შეთანხმებულ ხარისხში შესრულებულად ითვლება მას შემდეგ, რაც მას შეითანხმებს შემსყიდველი და მის საფუძველზე გაცემული იქნება შესაბამისი მშენებლობის ნებართვა.

5.3. მიმწოდებელი, 5.1. პუნქტში განსაზღვრული ვადის შესაბამისად, შესრულებული სამშენებლო სამუშაოების ხარისხზე იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ შესრულებული სამუშაოები, ასევე გამოყენებული მასალები, ინვენტარი და მოწყობილობები, ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, არ გამოავლენს დეფექტებს.

5.3.1. დანადგარების, მოწყობილობების და აგრეგატების ექსპლუატაციის ნორმები განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ, შემსყიდვლისათვის გადაცემული, დანადგარების, მოწყობილობების და აგრეგატების ტექნიკური მომსახურების ინსტრუქციების შესაბამისად.

5.4. მიმწოდებელი ვალდებულია, წერილობითი შეტყობინების მიღებიდან, უმოკლეს გონივრულ, მაგრამ არაუმეტეს 10 დღის ვადაში, დაიწყოს მუშაობა გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრის ან შეცვლისათვის საჭირო ზომების განსახორციელებლად, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე. თუ მხარეები ვერ თანხმდებიან დეფექტის არსებობა - არარსებობაზე, მაშინ ისინი ვალდებულნი არიან იხელმძღვანელონ ლიცენზირებული საექსპერტო დაწესებულების მიერ აღნიშნულ საკითხზე გაცემული დასკვნით. საექსპერტო დაწესებულებას მხარეები შეარჩევენ 1 კვირის განმავლობაში, თუ მოცემული პერიოდი ჩაივლის უშედეგოდ, მაშინ ექსპერტიზას ჩაატარებს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო. ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება დაეკისრება გამტყუნებულ მხარეს.

5.5. მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება, , ან ხარვეზის გამოსწორებისათვის დახარჯული თანხა მოითხოვოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიიდან (ზიანის ოდენობა დაითვლება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული აკრედიტაციის მქონე პირის მიერ მომზადებული საექსპერტო დასკვნის საფუძველზე).

6. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფა:

6.1. იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, მიმწოდებლის მიერ წარმოსადგენია ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო გამოუთხოვადი საბანკო გარანტია, რომლის წარმოდგენის ვადა, ოდენობა და მოქმედების ვადები განისაზღვრება ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით.

6.2 თეთრ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებელი უფლებამოსილია წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, ხელშეკრულების სპეციფიურ პირობებში მითითებული გარანტიის ოდენობის 50%-ზე. ყოველგვარი ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად, თეთრ სიაში რეგისტრირებული კომპანიისთვის ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის 50%-ის ოდენობაზე წარდგენის შესაძლებლობა, მიმწოდებელს არ ათავისუფლებს ვალდებულებისგან, შემსყიდველის მიერ, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გარანტიის გამოთხოვის შემთხვევაში, აუნაზღაუროს შემსყიდველს, ხელშეკრულების სპეციფიურ პირობებში მითითებული ხელშეკრულები შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის თანხის არაუზრუნველყოფილი 50%.

6.3 ხელშეკრულების ზოგადი პირობების 4.3. პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების დადგომისას, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს გაგრძელებული ვადის, ან/და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის, საქართველოში მოქმედი საფინანსო ინსტიტუტის მიერ გაცემული, ახალი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა მინიმუმ 60 (სამოცი) დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების მიწოდების გაგრძელებულ ვადას.

6.4 საბანკო გარანტია მიმწოდებელს დაუბრუნდება სშა-ს გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში და ამავე ვადაში შემსყიდველი უზრუნველყოფს გარანტიის გამცემი ბანკისათვის, გარანტიის მოქმედების შეწყვეტის შესახებ წერილობითი შეტყობინების გაგზავნას.

6.5 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ზოგადი პირობების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის არსებობისას, მიმწოდებელი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ვადის გასვლამდე 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე არ, ან ვერ წარმოადგენს ხელშეკრულების ზოგადი პირობების 6.3. პუნქტით გათვალისწინებულ, გაგრძელებული ვადის, ან ახალ საბანკო გარანტიას, ან მხარეები ვერ შეთანხმდებიან მიწოდების ვადის გაგრძელებაზე, ან ხელშეკრულება ვადამდე ადრე შეწყდება მიმწოდებლის ბრალეულობით, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმართოს საბანკო გარანტიის გამცემ ორგანოს, საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის სრულად გამოთხოვაზე. ამასთანავე, საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის შემცირება არ განხორციელდება ხელშეკრულების ზოგადი პირობების 15.1.2. პუნქტის თანახმად, მიმწოდებლისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს პროპორციულად, დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდას მიმწოდებელი უზრუნველყოფს დამატებით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7. სამშენებლო ობიექტის დაზღვევა:

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია, სამშენებლო სამუშაოების დაწყების დღიდან, სამუშაოების მიწოდების საბოლოო ვადის დასრულებამდე, შემსყიდველისა და მიმწოდებლის სასარგებლოდ დააზღვიოს სამშენებლო ობიექტი:

7.1.1. მინიმალური სადაზღვევო დასაფარი თანხა ობიექტის დაზიანების განისკომპენსაციისათვის აზღვრება ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით. მისი მოქმედების ვადა უნდა ფარავდეს დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდს (1 წელს, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტით გათვალისწინებული სამუშაოთა დასრულების თარიღიდან (მაქსიმალური დასაკავებელი თანხა: 8 500 ლარი).

7.1.2. მინიმალური სადაზღვევო დასაფარი თანხა მიმწოდებლის მანქანა-დანადგარების დაზიანების, ან დაკარგვის შემთხვევაში შეადგენს 50 000 ლარს (მაქსიმალური დასაკავებელი თანხა: 1 000 ლარი), რომლის მოქმედების ვადა უნდა ფარავდეს სამუშაოების მიწოდების ვადას.

7.1.3. მინიმალური სადაზღვევო დასაფარი თანხები მესამე პირთა საკუთრების დაზიანებისათვის შეადგენს 100 000 ლარს (მაქსიმალური დასაკავებელი თანხა: 4 000 ლარი), რომლის მოქმედების ვადა უნდა ფარავდეს სამუშაოების მიწოდების ვადას.

7.1.4. მინიმალური სადაზღვევო დასაფარი თანხები მიმწოდებლის პერსონალის ტრამვის და/ან გარდაცვალების შემთხვევაში შეადგენს 50 000 ლარს (მინიმუმ 5 000 ლარს/კაცზე, სამუშაოთა დაწყების თარიღიდან, მათი დამთავრების თარიღამდე) და მესამე პირთა დაშავების და/ან გარდაცვალების შემთხვევისათვის შეადგენს მინიმუმ 50 000 ლარს, რომლის მოქმედების ვადა უნდა ფარავდეს სამუშაოების მიწოდების ვადას.

7.2. მიმწოდებელი ვალდებულია, სამუშაოების დაწყებისთანავე წარუდგინოს შემსყიდველს საქართველოში რეგისტრირებული, შესაბამისი საფინანსო ინსტიტუტის მიერ გაცემული სადაზღვევო პოლისი, რომლითაც დადასტურდება ხელშეკრულების ზოგადი პირობების 7.1. პუნქტით გათვალისწინებული ობიექტის დაზღვევა.

7.3. ხელშეკრულების ზოგადი პირობების 7.1. პუნქტში განსაზღვრული დაზღვევის ხარჯების (ფრანშიზის ღირებულების გათვალისწინებით) დაფარვას საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს ,,მიმწოდებელი''.

8. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორება:

8.1. ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით 2022 -2026 წელს ,,შემსყიდველისათვის“ გამოყოფილი შესაბამისი საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში, მათ შორის, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების პერიოდში, (2022-2025 წწ) ანაზღაურებულ იქნება ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 70% (საიდანაც 2022 წელს ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების --% 2023 წელს ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების --%, 2024 წელს ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების --%, 2025 ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების --%) ხოლო დარჩენილი 30%-ის ანგარიშსწორება (რომელის შემადგენელი ნაწილი არის ხელშეკრულების 8.11. პუნქტით განსაზღვრული დაკავებული თანხა) განხორციელდება მომდევნო 2026 წელს ყოველკვარტალურად, თანაბარ წილად, მაგრამ არაუადრეს შსა-ს გაფორმებიდან ერთი (1) კალენდარული წლის განმავლობაში ყოველკვარტალურად, თანაბარ წილად.

8.2. შესრულებულ სამუშაოებზე ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად, უნაღდო ანგარიშსწორებით, ხელშეკრულების პირობების მიხედვით მხარეთა შორის ყოველი თვის ბოლოს გაფორმებული შუალედური მიღება-ჩაბარების აქტისა და მიმწოდებლის მიერ, დადგენილი წესით წარმოდგენილი ელექტრონული

საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, ხელშეკრულების 8.1. პუნქტით განსაზღვრული საბიუჯეტო ასიგნებების გათვალისწინებით.

8.2.1. შემსყიდველი ანგარიშსწორებას მიმწოდებელთან ახორციელებს ეტაპობრივად, ხელშეკრულების 11.1.1. პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი ***შუალედური მიღება-ჩაბარების აქტების*** (შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის შემადგენელი ნაწილია ასევე გადახდის სერთიფიკატი) შესაბამისად, შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, ხელშეკრულების 8.1. პუნქტით განსაზღვრული საბიუჯეტო ასიგნებების გათვალისწინებით.

8.2.2. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ცალკეული კალენდარული წლის განმავლობაში, ხელშეკრულების 11.1.1. პუნქტის შესაბამისად მხარეთა მიერ ხელმოწერილი შუალედური მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ასანაზრაურებელი თანხები, ჯამურად აღემატება ხელშეკრულების 8.1. პუნქტში მოცემულ, აღნიშნული კალენდარული წლისთვის განსაზღვრულ საბიუჯეტო ასიგნებებს, მაშინ, ასანაზღაურებელი თანხების ის ნაწილი რომელიც აღემატება ამ კალენდარული წლისთვის გამოყოფილ საბიუჯეტო ასიგნებებს, ანაზღაურდება მომდევნო კალენდარული წლის პირველ კვარტალში.

8.3. შესაძლებელია საავანსო ანგარიშსწორება, საქართველოში მოქმედი საფინანსო ინსტიტუტის მიერ საავანსო თანხაზე გაცემული, შემსყიდველთან შეთანხმებული შინაარსის, უპირობო, გამოუთხოვადი, წინასწარი (საავანსო) ანგარიშსწორების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის წარმოდგენის საფუძველზე, რომლის მოქმედების ვადა მინიმუმ 60 (სამოცი) დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოთა მიწოდების საბოლოო ვადას.

8.4. მიმწოდებელთან საავანსო ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულების ღირებულების არანაკლებ **15%-ის** ოდენობით. ამასთან, თუ ცალკეული კალენდარული წლის ბოლო თვის მდგომარეობით მიმწოდებლისთვის აღნიშნულ კალენდარულ წელს ფაქტიურად ანაზღაურებული სამუშაოების ღირებულება ნაკლებია ხელშეკრულების 8.1. პუნქტში მოცემული, აღნიშნული კალენდარული წლისთვის განსაზღვრულ საბიუჯეტო ასიგნებებზე და ამავე დროს მიმწოდებელს აღნიშნული მომენტისთვის არა აქვს სამუშაოების წარმოების გრაფიკზე ჩამორჩენა 1%-ზე მეტით, მაშინ აღნიშნულ კალენდარულ წელს გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნების აუთვისებელი ნაწილი, მომდევნო კალენდარულ წლამდე მიმწოდებელს მიეცემა ავანსად (ხელშეკრულების მიზნებისთვის გრაფიკზე ჩამორჩენა / გრაფიკის დარღვევა, გულისხმობს ცალკეული კალენდარული თვის ჭრილში გრაფიკის ფინანსური ნაწილის ჯამური მაჩვენებლის შეუსრულებლობას).

8.5. გარდა ხელშეკრულების 8.4. პუნქტით განსაზღვრული საავანსო ანგარიშსწორებისა, მიმწოდებლის მოთხოვნის და შემსყიდველის თანხმობის შემთხვევაში, მიმწოდებელს შეიძლება დამატებით მიეცეს მიზნობრივი ავანსი. მიმწოდებლის მიერ მიზნობრივი საავანსო გადახდის მოთხოვნის შემთხვევაში, მიზნობრივი ავანსის ოდენობისა და პერიოდულობის განსაზღვრის მიზნით, შემსყიდველი უფლებამოსილია დამატებით მოთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი დაწესებულების/პირის მიერ დამოწმებული ინფორმაცია.

8.6. თეთრ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებელი უფლებამოსილია წარმოადგინოს წინასწარი (საავანსო) ანგარიშსწორების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, საავანსო თანხის 50%-ის ოდენობით.

8.7. წინასწარი ანგარიშსწორება (როგორც ხელშეკრულების 8.4. პუნქტით ასევე 8.5. პუნქტით განსაზღვრული წინასწარი ანგარიშსწორება) მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში მის მიერ შესაბამის თანხაზე საქართველოში მოქმედი საფინანსო ინსტიტუტიდან წარმოდგენილი, წინასწარი (საავანსო) ანგარიშსწორების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის საფუძველზე, გარანტიის წარმოდგენიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8.8. წინასწარ ავანსის სახით გადარიცხული თანხის დაქვითვა განხორციელდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ყოველ კონკრეტულ ჯერზე დადასტურებული შუალედური მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად შედგენილი გადახდის სერტიფიკატის საფუძველზე.

8.9. ხელშეკრულების ზოგადი პირობების 8.6. პუნქტში აღნიშნული შემთხვევისას, თავდაპირველად განხორციელდება არაუზრუნველყოფილი საავანსო თანხის დაქვითვა სრულად, არაუზრუნველყოფილი საავანსო თანხის სრულად დაქვითვის შემდეგ, წინასწარი (საავანსო) ანგარიშსწორების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი თანხიდან.

8.10. ყოველი მიწოდებული სამუშაოს ღირებულებიდან განხორციელდება საავანსო თანხის დაქვითვა შემდეგი წესით:

ა) ხელშეკრულების 8.4. პუნქტის შესაბამისად წინასწარ ავანსის სახით გადახდილი თანხის დაქვითვა განხორციელდება მხარეთა შორის ყოველ კონკრეტულ ჯერზე გაფორმებული შუალედური მიღება-ჩაბარების

აქტიდან გადახდილი ავანსის პროპორციული გამოქვითვით, ან ავანსი გამოიქვითება განსხვავებული წესით თუ ამაზე მხარეები შეთანხმდებიან და ასახავენ შესაბამის გადახდის სერტიფიკატში;

ბ) ხელშეკრულების 8.5. პუნქტის შესაბამისად წინასწარ ავანსის სახით გადახდილი თანხის დაქვითვა განხორციელდება მხარეთა შორის ყოველ კონკრეტულ ჯერზე გაფორმებული შუალედური მიღება-ჩაბარების აქტში მოცემული იმ სამუშაოებს ღირებულებიდან, რომელთა წინასწარ დასაფინანსებლადაც განხორციელდა მიზნობრივი ავანსის გადახდა.

8.11. სამუშაოს ხარისხის დაცვის უზრუნველსაყოფად, საბოლოო ანგარიშსწორებისას განხორციელდება ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოს ღირებულების 5%-ის დაკავება, რომლის დაბრუნება განხორციელდება დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდის (საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტით გათვალისწინებულ სამუშაოთა დასრულების თარიღიდან 1 წელი) დასრულებისა და დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდში დეფექტების არარსებობის, ან დეფექტების არსებობის შემთხვევაში, მათი აღმოფხვრის შესახებ სპეციალური კომისიის მიერ შედგენილი აქტის საფუძველზე, აქტის შედგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

8.12. მიწოდებული სამუშაოების ხარისხის დაცვის უზრუნველსაყოფად სამუშაოების ღირებულებიდან დაკავებული თანხის 5%-ს ანგარიშსწორების მიზნით, შემსყიდველის მიერ შექმნილი სამუშაოთა მიმღები კომისიის მიერ შედგენილი საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, იმ პირობით, თუ შესაბამისი წლის საბიუჯეტო ასიგნებები შემსყიდველს აძლევს აღნიშნულის საშუალებას, მიმწოდებელი უფლებამოსილია წარუდგინოს შემსყიდველს, მასთან შეთანხმებული შინაარსის, საქართველოში მოქმედი საფინანსო ინსტიტუტის მიერ გაცემული, გამოუთხოვადი, უპირობო, შესრულებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 (ოცდაათი) დღით უნდა აღემატებოდეს დეფექტებზე პასუხისმგებლობის (საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტით გათვალისწინებული სამუშაოთა დასრულების თარიღიდან 1 წელი) პერიოდს. ორაზროვნების გამოსარიცხად, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების წინამდებარე პუნქტში მითითებული ხარისხის უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის წარუდგენლობის შემთხვევაში, სამუშაოების ღირებულებიდან დაკავებული თანხის მიმწოდებლისთვის ანაზღაურება განხორციელდება ხელშეკრულების 8.11. პუნქტით განსაზღვრულ ვადაში.

8.13. იმ შემთხვევაში, თუ სხვადასხვა მიზეზის გამო, მიმწოდებელი ორგანიზაცია ვერ უზრუნველყოფს, ან უარს აცხადებს დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდში დაფიქსირებული ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე, შემსყიდველი დამოუკიდებელი ექსპერტის მეშვეობით შეაფასებს ობიექტზე წარმოქმნილი დეფექტების აღმოფხვრის ხარჯს და აღნიშნულ ხარჯს აინაზღაურებს დაკავებული თანხიდან ან, თუ მიმწოდებელს წარმოდგენილი აქვს ხარისხის უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, მიმართავს საბანკო გარანტიის გამცემ ორგანოს შესაბამისი თანხის გამოთხოვის თაობაზე. თუ დეფექტების აღმოსაფხვრელად საჭირო თანხა აღემატება ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოების ღირებულების 5%-ის ოდენობას, შემსყიდველი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დააკისრებს მიმწოდებელს დარჩენილ განსხვავებას.

8.14. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, შეწყდა ვადაზე ადრე და/ან მიმწოდებელი, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში თავისი ბრალით ვერ უზრუნველყოფს სამუშაოების შესრულებას და მხარეები ვერ შეთანხმდებიან ამ ვადის გაგრძელებაზე, მიმწოდებელი ვალდებულია, შესაბამისი შეტყობინების გაგზავნიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში დააბრუნოს წინასწარ ავანსის სახით გადარიცხული თანხიდან ამ ხელშეკრულების შესაბამისად დარჩენილი გამოუქვითავი ავანსის შესაბამისი თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, გარანტიის მოქმედების პერიოდში, მიმართოს გარანტიის გამცემ ორგანოს (გარანტს), ავანსის სახით გადარიცხული თანხის ფარგლებში დარჩენილი გამოუქვითავი ავანსის თანხის დაბრუნებაზე, ასევე მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ პირველივე მოთხოვნის წაყენებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში დააბრუნოს არაუზრუნველყოფილი გამოუქვითავი საავანსო თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებლის მიერ შესასრულებელი, ხელშეკრულების მე-5 მუხლით განსაზღვრული საგარანტიო ვალდებულებების მოქმედების ვადა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტამდე შესრულებულ სამუშაოებზე გრძელდება ხელშეკრულების შეწყვეტიდან 1 წლის განმავლობაში.

8.15. გაწეულ საპროექტო მომსახურებაზე ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მხარეთა უფლებამოსილ წარმომადგენლებს შორის საპროექტო

დოკუმენტაციის მიწოდებაზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის და მიმწოდებლის მიერ, დადგენილი წესით, საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენის საფუძველზე, წარმოდგენიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში.

8.16. ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებელთან განსახორციელებელი ნებისმიერი ანგარიშსწორება უნდა შესრულდეს მხოლოდ შემდეგ საბანკო ანგარიშის ნომრებზე თანხის ჩარიცხვის გზით:

* ----------

* ----------

აღნიშნული ანგარიშის ნომრების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ „დამფინანსებელი ბანკ(ებ)ის“ (ასეთების არსებობის შემთხვევაში) თანხმობით.

9. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა მხარეები:

9.1. ქვეკონტრაქტორ(ებ)ი:

9.1.1. ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე მიმწოდებელი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებით უზრუნველყოს ხელშეკრულების შესაბამისად შესასრულებელი სამუშაოს არაუმეტეს 40%-ის წარმოება ქვეკონტრაქტორ(ებ)ის მონაწილეობით. ამასთან, ხელშეკრულების შესაბამისად შესასრულებელი სამუშაოს 40%-ზე მეტის ქვეკონტრაქტორის მეშვეობით შესასრულებლად, მიმწოდებელმა წინასწარ უნდა მოიპოვოს შემსყიდველის წერილობითი თანხმობა.

9.1.2. ქვეკონტრაქტორ(ებ)ის მეშვეობით, ხელშეკრულების შესაბამისად შესასრულებელი სამუშაოს 40%-ზე მეტის წარმოება მიმწოდებელს გააჩნია მხოლოდ შემსყიდველთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე. აღნიშნული უფლების მისაღებად, თითოეული ასეთი ქვეკონტრაქტორის სამუშაოს დაწყების დაგეგმილ თარიღამდე გონივრული ვადით ადრე, მიმწოდებელმა უნდა წარუდგინოს შემსყიდველს წერილობითი მოთხოვნა ქვეკონტრაქტის გაფორმების უფლების მოსაპოვებლად. შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებული იქნება წარუდგინოს შემსყიდველს ქვეკონტრაქტორ(ებ)თან გაფორმებული ხელშეკრულების პროექტი, ან გაფორმებული ხელშეკრულება, ან განზრახვათა შესახებ ხელშეკრულება, ასევე ქვეკონტრაქტით შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალი და მოცულობები.

9.1.3. შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ქვეკონტრაქტორ(ებ)ის ხელშეკრულების შესაბამისად შესასრულებელი სამუშაოს 40%-ზე მეტის შესრულების პროცესში ჩართვასთან დაკავშირებით. შემსყიდველის მხრიდან უარის თქმად განიხილება ასევე, თუ მიმწოდებლის მხრიდან ქვეკონტრაქტორ(ებ)ის მეშვეობით სამუშაოთა წარმოების მიღებაზე წერილობითი მოთხოვნის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში შემსყიდველი წერილობით არ გასცემს პასუხს მიმწოდებელს.

9.1.4. ქვეკოტრაქორ(ებ)ის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით, ან არაჯეროვანი შესრულებით დამდგარ შედეგზე შემსყიდველის წინაშე პასუხისმგებელია მხოლოდ მიმწოდებელი.

9.1.5. ქვეკოტრაქორ(ებ)ის მიერ შესრულებული სამუშაოების მიწოდებას და შესაბამისად სამუშაოების ჩაბარებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

9.1.6. ქვეკოტრაქორ(ებ)ის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

9.2. უფლებების გადაცემა:

9.2.1. ხელშეკრულების მხარემ მეორე მხარის და „დამფინანსებელი ბანკ(ებ)ის“ (ასეთების არსებობის შემთხვევაში) წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს სხვა პირებს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი უფლებები და ვალდებულებები (მათ შორის მოთხოვნების განკარგვა / ვალების გადაკისრება), გარდა ხელშეკრულების ზოგადი პირობების 12.1.3. პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა.

10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი:

10.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით, ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე, შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს, რომელიც მოიცავს სამუშაოების ზედამხედველობას და საპროექტო მომსახურების ზედამხედველობას.

10.2. სამუშაოების ზედამხედველობის განხორციელების მიზნით, შემსყიდველი ნიშნავს და კანონმდებლობით დადგენილი წესით ქირაობს მშენებლობის ზედამხედველს („ზედამხედველი“ ან „ინჟინერი“), რაც აისახება ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

10.3. პროექტის საერთო კონტროლის განხორციელების მიზნით, შემსყიდველი ნიშნავს პროექტზე პასუხისმგებელ პირს („პასუხისმგებელი პირი“), რაც აისახება ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში. შემსყიდველის გადაწყვეტილებით, ზედამხედველი შეიძლება ამავდროულად იყოს პასუხისმგებელი პირიც.

10.4. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაქირავებული მშენებლობის ზედამხედველისგან წარმოადგენს:

10.4.1. სამუშაოების მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

10.4.2. მიწოდებული სამუშაოების, ხელშეკრულების დანართებთან შესაბამისობის დადგენა, შესაბამისი ინსპექტირების დასკვნის შედგენა (აუცილებლობის შემთხვევაში), ფარული სამუშაოების კონტროლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მიწოდებული სამუშაოების, გაწეული მომსახურების საფუძველზე მომზადებული დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის ფარგლებში შედგენილ მოცულობათა უწყისთან ურთიერთშედარება და მათ საფუძველზე, მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების, ან მისი ნაწილის მოცულობისა და ღირებულების დადგენა, შსა-ს დამოწმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

10.4.3. ტექნიკური დავალების დანართებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

10.4.4. მიმწოდებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და დასაქმებული ძირითადი სპეციალისტების კომპეტენციის შესაბამისობის დადგენა, განსახორციელებელ სამუშაოებთან მიმართებაში.

10.5. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი, კონტროლის პროცედურებისთვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით (მიმწოდებელს კონტროლოს განსახორციელებლად საჭირო პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით შემსყიდველის საკუთარი რესურსებით უზრუნველყოფის ვალდებულება გააჩნია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი, კონტროლის განსახორციელებლად საჭირო პერსონალს და/ან ტექნიკურ საშუალებებს მიმწოდებელი იყენებს სამუშაოების შესრულების პროცესში და ისინი განთავსებული არიან სამშენებლო მოედანზე). იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი პროცედურების განხორციელების მიზნით გამოიყენებს საკუთარ, ან მოწვეულ პერსონალს, იგი თავად გასწევს ამასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

10.6. მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის პროცედურების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის აღმოფხვრა.

10.7. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლი ასევე წარმოადგენს:

10.7.1. გაწეული საპროექტო მომსახურების ხარისხის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა, საპროექტო მომსახურების ეტაპების განხილვა-შეთანხმება, გაწეულ საპროექტო მომსახურებაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება, მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი.

10.7.2. მომსახურების მიწოდებისას მიმწოდებელმა უნდა გაითვალისწინოს საქართველოში მოქმედი სამართლებრივი აქტებით დადგენილი ყველა მოთხოვნა, რომელიც დაკავშირებული იქნება საპროექტო მომსახურების გაწევასთან.

10.7.3. საპროექტო მომსახურების გაწევაზე ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული პირ(ებ)ი ან/და ორგანიზაციები.

10.8. ,,შემსყიდველის'' მიერ კანონდმებლობით დადგენილი წესით დაქირავებული ზედამხედველი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მის მიერ მოპოვებულ ინფორმაცია/დოკუმენტაციას შესათანხმებლად წარუდგენს შემსყიდველის მიერ დანიშნულ ზედამხედველს.

11. ხელშეკრულების საგნის მიღება-ჩაბარება:

11.1. სამუშაოების საბოლოო მიღება–ჩაბარება ხორციელდება შსა-ს საფუძველზე, ხოლო შუალედრული მიღება ხორციელდება ეტაპობრივად, მხარეთა შორის ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით შუალედური მიღება-ჩაბარებების საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად შესრულებული სამუშოების, ან მისი ნაწილის მოცულობის შესაბამისად.

11.1.1. სამუშაოს ეტაპობრივი მიღება იწარმოებს შემდეგი წესით: მიმწოდებელი ყოველი საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან

15 (თხუთმეტი)სამუშაო დღის ვადაში წარუდგენს შემსყიდველს საანგარიშო პერიოდში შესრულებული სამუშაოების შუალედურ მიღება-ჩაბარების აქტს, რომელშიც აისახება შესრულებული სამუშაოს მოცულობა, ღირებულება და აქტით განსაზღვრული შესრულებული სამუშაოს ღირებულების კორექტირება ინდექსაციის გათვალისწინებით , ხოლო ხელშეკრულების ზოგადი პირობების 10.2. პუნქტით განსაზღვრული პირი, 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში, ხელშეკრულების 11.3. პუნქტის შესაბამისად ამოწმებს აქტით განსაზღვრულ სამუშაოებს და უბრუნებს მიმწოდებელს დადასტურებულ აქტს, ან/და იგივე ვადაში წერილობით ატყობინებს მიმწოდებელს წარმოდგენილი აქტის დამოწმებაზე მოტივირებულ და დასაბუთებული უარს. ხელშეკრულების 10.2. პუნქტით განსაზღვრული პირის მიერ აქტის დადასტურება გულისხმობს, რომ აქტით განსაზღვრული სამუშაო მოწონებული და მიღებულია შემსყიდველის მიერ, რაც წარმოშობს მისი ანაზღაურების ვალდებულებას.

ხელშეკრულების მიზნებისთვის საანგარიშო პერიოდი არის - კალენდარული თვის პირველი რიცხვიდან თვის ბოლო რიცხვის ჩათვლით პერიოდი ან, თუ ხელშეკრულების გაფორმება დაემთხვა კალენდარული თვის პირველი რიცხვის გარდა ნებისმიერ სხვა რიცხვს, მაშინ პირველი საანგარიშო პერიოდი იქნება ხელშეკრულების გაფორმების მომენტიდან თვის ბოლო რიცხვის ჩათვლით პერიოდი.

11.1.1.1. შესრულებული სამუშაოს მიღების შუელედურ აქტებში, აქტებით განსაზღვრული სამუშაოს ღირებულებების ინდექსაცია ხორციელდება შემდეგი წესით:

- აქტით განსაზღვრული, შესრულებული სამშენებლო სამუშაოს ღირებულების 35%-ზე გავრცელდება „მშენებლობისთვის გამოყენებული მასალების ფასების ინდექსი“, მანამ სანამ საქსტატის მიერ „ახალი ინდექსი“ შემუშავებდება.
- „ახალი ინდექსის“ შემუშავების შემდეგ, ინდექსი არ შეეხება საპროექტო მომსახურებას და შეეხება მხოლოდ ხელშეკრულების სამშენებლო სამუშაოების 72%.
- ხელშეკრულების მიზნებისთვის, ინდექსაციის ათვლის წერტილად (საბაზისო (სასტარტო) ინდექსად) ითვლება ხელშეკრულების გაფორმების თვე, რაც გულისხმობს, რომ ხელშეკრულების გაფორმების თვეში - „მშენებლობისთვის გამოყენებული მასალების ფასების ინდექსი“ და „ახალი ინდექსი“ უდრის (=) 100;
- სამუშაოს მიღების ცალკეული შუალედური აქტის ინდექსაციისთვის გამოიყენება აღნიშნული აქტის წინა კალენდარულ თვეებში გამოქვეყნებული ინდექსის ნაზარდი ჯამი, კერძოდ საბაზისო თვიდან კონკრეტული აქტის თვემდე არსებული ინდექსის ნაზარდი ჯამი. ამასთან, იმ სამუშაოებზე, რომლებიც შესრულებულია გეგმა-გრაფიკზე ჩამორჩენით, ინდექსაცია არ განხორციელდება.
- ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, შესრულებული სამუშაოს მიღების აქტებში მითითებული შესრულებული სამუშაოს ღირებულების ინდექსაცია განხორციელდება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

  - ინდექსაცია „მშენებლობისთვის გამოყენებული მასალების ფასების ინდექსის“ გამოყენებით

    D = A x 35% x E + (A x 65%)

  - ინდექსაცია „ახალი ინდექსის“ გამოყენებით:

    D = A x 72% x E + (A x 28%)

    სადაც:

    D ------ ნიშნავს ინდექსაციის შედეგად დაკორექტირებულ შესრულებული სამუშაოს შუალედური აქტით განსაზღვრულ ღირებულებას;

    A ------ ნიშნავს შესრულებული სამუშაოს მიღების შუალედური აქტით განსაზღვრულ შესრუებული სამუშაოს ღირებულებას ინდექსციამდე;

    B ------- ნიშნავს შესრულებული სამუშაოს მიღების შუალედური აქტის წინა კალენდარულ თვეს გამოქვეყნებულ ინდექსს;

    C ------ ნიშნავს ნაზარდი ჯამით დათვლილ ინდექსს (საბაზისო პერიოდიდან შესრულებული სამუშაოს მიღების კონკრეტული შუალედური აქტის თვემდე გამოქვეყნებული ინდექსების ნაზარდი ჯამი გარდა აქტის თარიღის წინა კალენდარულ თვეში გამოქვეყნებული ინდექსისა);

    E ------- ნიშნავს: (B / 100) x (C / 100)

11.1.2. თუ შემსყიდველი (ხელშეკრულების ზოგადი პირობების 10.2. პუნქტით განსაზღვრული პირი) ხელშეკრულების 11.1.1. პუნქტში მითითებულ შუალედურ მიღება-ჩაბარების აქტს, მისთვის აღნიშნული აქტის ჩაბარებიდან 15 (თხუთმეტი)

სამუშაო დღის ვადაში არ მოაწერს ხელს ან არ შეატყობინებს მიმწოდებელს აქტის დამოწმებაზე მოტივირებულ და დასაბუთებულ უარს, მაშინ ითვლება, რომ შემსყიდველს არ გააჩნია შენიშვნები აქტით განსაზღვრულ სამუშაოსთან დაკავშირებით და შესაბამისად აქტით განსაზღვრული სამუშაო მოწონებული და მიღებულია.

11.1.3. თუ ხელშეკრულების ზოგადი პირობების 10.2. პუნქტით განსაზღვრული პირს გააჩნია დასაბუთებული პრეტენზია მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობის ან ხარისხის მიმართ და ამ მიზეზით ის არ მიიღებს შუალედური მიღება-ჩაბარების აქტით განსაზღვრულ შესრულებულ სამუშაოს, ხოლო მიმწოდებელი ეთანხმება წარმოდგენილ პრეტენზიას, მიმწოდებელი ვალდებულია გონივრულ ვადაში აღმოფხვრას ის საფუძვლები, რასაც ემყარება პრეტენზია და ხელმეორედ წარუდგინოს შემსყიდველს (ხელშეკრულების ზოგადი პირობების 10.2. პუნქტით განსაზღვრული პირს) შუალედური მიღება-ჩაბარების აქტი ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

11.1.4. თუ მხარეები ვერ თანხმდებიან მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ხარისხზე, ისინი ვალდებულნი არიან იხელმძღვანელონ კომპეტენტური საექსპერტო დაწესებულების მიერ აღნიშნულ საკითხზე გაცემული დასკვნით. საექსპერტო დაწესებულებას მხარეები შეარჩევენ 1 კვირის განმავლობაში, თუ მოცემული პერიოდი ჩაივლის უშედეგოდ, მაშინ ექსპერტიზას ჩაატარებს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო. ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება დაეკისრება გამტყუნებულ მხარეს.

11.2. შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის დადასტურების მიზნით, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს საანგარიშო პერიოდში შესრულებული სამუშაოების მოცულობები და ღირებულება ტექნიკურ დავალებაში მოცემული ნიმუშის შესაბამისად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად.

11.3. ხელშეკრულების ზოგადი პირობების 10.2. პუნქტით განსაზღვრული პირი, შუალედურ მიღება-ჩაბარების აქტებში მოცემული შესრულებული სამუშაოების ხელშეკრულების დანართებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ახორციელებს აქტებში მითითებული შესრულებული სამუშაოების შემოწმებას, განიხილავს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ, შესრულებული სამუშაოების შუალედურ მიღება-ჩაბარების აქტებს და აქტებში მითითებული შესრულებული სამუშაოების მოცულობას, აუცილებლობის შემთხვევაში ადგენს შესრულებული სამუშაოების, ან მისი ნაწილის ინსპექტირების აქტს, ამოწმებს ფარულ სამუშაოებს, ასეთის არსებობისას.

11.4. იმ შემთხვევაში, თუ ცალკეულ შუალედურ მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული შესრულებული სამუშაოები, ან მისი ნაწილი შეესაბამება ხელშეკრულების მოთხოვნებს, ხელშეკრულების ზოგადი პირობების 10.2. პუნქტით განსაზღვრული პირი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების, ან მისი ნაწილის მიღებას, ხოლო თუ გამოვლინდება, რომ შესრულებული სამუშაოები არ აკმაყოფილებს ხელშეკრულების მოთხოვნებს, შემსყიდველს უფლება აქვს, შეუსაბამობის გამოსწორებამდე არ მიიღოს სამუშაო, ან მისი ნაწილი.

11.5. სამუშაოთა საბოლოო მიღება - შსა-ს გაფორმება:

11.5.1. მიწოდებული სამუშაოების საბოლოო მიღება ხორციელდება კომისიური წესით, რომლის ფორმირების წესს და წევრებს განსაზღვრავს შემსყიდველი.

11.5.2. სამუშაოთა დასრულების შესახებ, მიმწოდებელი წერილობით ატყობინებს შემსყიდველს და მიუთითებს თავისი წარმომადგენლის ვინაობას, რომელმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს შესმყიდველის მიერ განსაზღვრული, სამუშაოთა მიმღები კომისიის საქმიანობაში. აღნიშნული წერილობითი შეტყობინება უნდა მოიცავდეს ხელშეკრულების 3.7. პუნქტში ჩამოთვლილ დოკუმენტებს.

11.5.3. ხელშეკრულების ზოგადი პირობების 11.5.2. პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინებიდან არაუგვიანეს 60 (სამოცი) კალენდარული დღის ვადაში, სამუშაოთა მიმღები კომისია არსებითი ხარვეზების არარსებობსი შემთხევაში უზრუნველყოფს მიწოდებული სამუშაოების საბოლოო მიღებას.

11.5.4. სამუშაოების მიმღები კომისია, მოწოდებული სამუშაოების და ობიექტის დასრულების თაობაზე ხელისმოწერებით ადასტურებს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტს.

11.6. შემსყიდველი ვალდებულია, უმოკლეს გონივრულ ვადაში, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები, დაწუნებული სამუშაოების მოცულობისა და წუნდების მიზეზის მითითებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ პროექტის ფარგლებში არ არის შესრულებული გარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები (რომელთა შესრულებაც არ წარმოადგენს მიმწოდებლის ვალდებულებას ამ ხელშეკრულების შესაბამისად), რის გამოც შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანო არ განახორციელებს პროექტის ექსპლოატაციაში მიღებას, აღნიშნული ექსპლოატაციაში მიუღებლობა არ ჩაითვლება მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების წუნად/ხარვეზად. ამასთანავე, თუ შემსყიდველი, შსა-ს გაფორმებიდან 18 (თვრამეტი) კალენდარული თვის

განმავლობაში უზრუნველყოფს გარე ტერიტორიის კეთილმოწყობას და იმ პირობით თუ ტერიტორიის კეთილმწოყობის სამუშაოები შესრულებულია წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებლის მიერ მომზადებული საპროექტო დოკუმენტაციის დაცვით, მაშინ მიმწოდებელი ვალდებული იქნება უზრუნველყოს პროექტის ექსპლუატაციაში მიღებას.

11.7. დეფექტების პასუხისმგებლობის გასვლის შემდეგ დეფექტის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს შემსყიდველი, გარდა იმ შემთხევებისა როდესაც ცალკეულ მასალაზე, დანადგარზე ან მოწყობილობაზე პასუხისმგებლობის/გარანტიის ვადა აღემატება დეფექტების პასუხისმგებლობის ვადას და წარმოდგენილია დამკვეთისთვის მონტაჟის/მშენებლობის პერიოდში.

11.8. იმ შემთხვევაში, თუ საბოლოო მიმღები კომისიის მიერ დადასტურდა, რომ შესრულებული სამუშაოები შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, სამუშაოების დასრულების ვადად ჩაითვლება ხელშეკრულების ზოგადი პირობების 11.5.2. პუნქტის შესაბამისად, მიმწოდებლის მიერ სამუშაოთა დასრულების შეტყობინების თარიღი, ხოლო თუ საბოლოო მიღებისას გამოვლინდა, რომ ადგილი აქვს წინამდებარე ხელშეკრულების ზოგადი პირობების 11.7. პუნქტით გათვალისწინებულ გარემოებას, ობიექტის მიღება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ დეფექტის აღმოფხვრის შემდგომ, ხოლო მიმწოდებელს დაეკისრება, ხელშეკრულების ზოგადი პირობების 15.1.2. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო, სამუშაოთა დასრულების საბოლოო თარიღიდან, დეფექტების აღმოფხვრამდე.

11.9. საპროექტო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების პირობები:

11.9.1. საპროექტო მომსახურების ცალკეული ეტაპებისა და საბოლოო დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მიღება განხორციელდება მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე.

11.9.2. საპროექტო მომსახურების გაწევის პირობები, წარმოსადგენი დოკუმენტაცია და ცალკეული ეტაპების მიწოდების ვადები მოცემული არის ხელშკერულების დანართ N2-ში (ტექნიკური დავალება).

11.9.3. მიმწოდებლის მიერ მიწოდებული დეტალური საპროექტო დოკუმენტაცია და ყველა სახის მასალა (გამოკვლევა, ანგარიშები, ან სხვა მასალები, გრაფიკა, პროგრამული უზრუნველყოფა და სხვა დოკუმენტები) მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან წარმოადგენს შემსყიდველის საკუთრებას.

11.9.4. შემსყიდველის მხრიდან საპროექტო მომსახურების მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი არის შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული პირი.

12. მხარეთა უფლებები:

12.1. მიმწოდებლის უფლებები:

12.1.1. მიმწოდებელს უფლება აქვს, ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

12.1.2. მიმწოდებელს უფლება აქვს დანიშნოს მისი სრულუფლებიანი წარმომადგენელი („მიმწოდებლის წარმომადგენელი“), რაც აისახება ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

12.1.3. მიმწოდებელს უფლება აქვს ხელშეკრულებიდან გამომდინარე თავისი ფულადი მოთხოვნები შემსყიდველის მიმართ დააგირავოს დანფინანსებელი ბანკ(ებ)ის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სასარგებლოდ, ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საბანკო პროდუქტიდან გამომდინარე შესაბამისი ბანკის მოთხოვნების უზრუნველსაყოფად, შემსყიდველისგან რაიმე სახის დამატებითი თანხმობის ან ნებართვის მიღების აუცილებლობის გარეშე.

12.2. შემსყიდველის უფლებები:

12.2.1. შემსყიდველს უფლება აქვს აწარმოოს მიწოდებული სამუშაოების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის კონტროლი.

12.2.2. აუცილებლობის შემთხვევაში, საკუთარი შეხედულებით, სამუშაოების, ან მისი ეტაპის მიღებამდე, სამუშაოების ხარისხის შესაბამისობის დადგენის უზურნველსაყოფად გამოიყენოს მოწვეული სპეციალისტი.

12.2.3. მოთხოვოს მიმწოდებელს სამუშაოების წარმოებისას დასაქმებული პერსონალის, ან გამოყენებული მანქანა მექანიზმების რაოდენობის გაზრდა თუ დასაბუთებულად ჩათვლის, რომ მიმწოდებლის მიერ დასაქმებული პერსონალის ან გამოყენებული მანქანა-მექანიზმების რაოდენობა არასაკმარისია სამუშაოს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში დასასრულებლად.

12.2.4. მოთხოვოს მიმწოდებელს ძირითადი სპეციალისტების შეთანხმება ტექნიკურ დავალებაში მოცემული პირობების გათვალისწინებით.

12.2.5. აწარმოოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების დანართი N2-ით (ტექნიკური დავალება) განსაზღვრული

ვალდებულებების შესრულების კონტროლი.

12.2.6. განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

13. მხარეთა მოვალეობები:

13.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

13.1.1. მიაწოდოს შემსყიდველს სამუშაოები ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების განუხრელი დაცვით.

13.1.2. უზრუნველყოს გამოვლენილი ნაკლოვანების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით, შემსყიდველის მომართვიდან, არსებული ნაკლოვანების აღმოფხვრისთვის საჭირო გონივრულ ვადაში, ტექნიკური პირობების შესაბამისად.

13.1.3. დროულად განიხილოს შემსყიდველის მხრიდან დასმული საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

13.1.4. გაავრცელოს შესრულებულ სამუშაოებზე გარანტია (დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი), ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

13.1.5. დააზღვიოს შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

13.1.6. გაწეული მომსახურების საფუძველზე მომზადებული დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის ფარგლებში, სამუშაოების წარმოების დაწყებამდე, წარუდგინოს შემსყიდველს მასთან შეთანხმებული შინაარსისა და ფორმატის, სამუშაოების წარმოების კალენდარული გრაფიკი, რომელიც შედგენილი უნდა იყოს ხელშეკრულების ზოგადი პირობების 4.2. პუნქტით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების შესაბამისად.

13.1.7. დროულად და საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება ჩართულ მხარეებთან და ადმინისტრაციულ ორგანოებითან.

13.1.8. პირნათლად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულება.

13.2. შემსყიდველი ვალდებულია:

13.2.1. უზრუნველყოს მიმწოდებლის დროული და სრული დაფინანსება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

13.2.2. დროულად განიხილოს და გადაწყვიტოს მიმწოდებლის მხრიდან დასმული საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

13.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

14. ხელშეკრულების შესრულების შეჩერება:

14.1. ობიექტური გარემოებებით:

14.1.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მიმწოდებელი წააწყდება ისეთ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, მან დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება შემსყიდველს და ზედამხედველს, შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. ზედამხედველი იღებს არგუმენტირებულ გადაწყვეტილებას, ჩაითვლება თუ არა წარმოდგენილი გარემოებები ობიექტურად და აცნობებს ამის შესახებ შემსყიდველს. წინამდებარე მუხლით განსაღვრულ გარემებებს მათ შორის განეკუთვნება:

14.1.1.1. შემსყიდველის მიერ 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ნებისმიერ ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევები, რა დროსაც მიმწოდებელს უფლება ეძლევა შემსყიდველისთვის მიცემული შეტყობინების (წერილობითი ან/და ზეპირი) საფუძველზე შეაჩეროს ობიექტზე მიმდინარე სამუშაოების წარმოება არსებული დავალიანების დაფარვამდე ან გააგრძელოს სამუშაოების წარმოება საკუთარი შეხედულებისამებრ. შეჩერებული სამუშაოების გაგრძელების შემთხვევაში, მხარეები წერილობით უნდა შეთანხმდნენ სამუშაოების დასრულების განახლებულ ვადაზე;

14.2. შემსყიდველის დავალებით:

14.2.1. ზედამხედველს უფლება აქვს მისცეს დავალება მიმწოდებელს სამუშაოების შეჩერებაზე ჯამში არაუმეტეს 40 (ორმოცი) დღის ვადით ერთი კალენდარული წლის განავლობაში, პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე.

14.3. ფორს-მაჟორის გამო:

14.3.1. ხელშეკრულების პირობების, ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

14.3.2. ამ მუხლის მიზნებისათვის, ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, კარანტინით და სამუშაოების მიწოდებისთვის საჭირო საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

14.3.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

15. ხელშეკრულების პირობების დარღვევა:

15.1. საჯარიმო სანქციები:

15.1.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში გადაუხადოს პირგასამტეხლო მიმწოდებელს, შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

15.1.2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, მისი ბრალეულობით ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში, გადაუხადოს პირგასამტეხლო შემსყიდველს, შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არაუმეტეს ჯამში კონტრაქტის მთლიანი ღირებულების 10%-სა.

15.1.3. წინამდებარე ხელშეკრულების 15.1.2. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დაკისრებული პირგასამტეხლო გამოქვითოს შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან.

15.1.4. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ზოგადი პირობების 15.1.2. ან 15.1.8. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დარიცხული თანხა, თითოეულ შემთხვევაში გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთ) პროცენტს და მხარეები ვერ თანხმდებიან სამუშაოების შესრულების ვადის გაზრდაზე, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

15.1.5. პირგასამტეხლოს დარიცხვა, ან გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.1.6. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან თუ ადგილი აქვს ხელშეკრულების ზოგადი პირობების მე-14 მუხლით გათვალისწინებულ, ხელშეკრულების შესრულების შეჩერებას, გარდა ხელშეკრულების ზოგადი პირობების 14.1.1.1. პუნქტით განსაზღვრული გარემოებისა.

15.1.7. მხარეები ითვალისწინებენ, რომ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია გამოიყენება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკის თავიდან ასაცილებლად და აღნიშნული საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის სრულად გამოთხოვა განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების ზოგადი პირობების 6.5. პუნქტით გათვალისწინებული პირობის დადგომის დროს. აღნიშნულის მიუხედავად, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის შემცირება არ განხორციელდება დაკისრებული პირგასამტეხლოს სახით, დაკისრებული თანხის პროპორციულად, დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიმწოდებელი უზრუნველყოფს დამატებით.

15.1.8. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, ხელშეკრულების დანართი N2-ით (ტექნიკური დავალება) გათვალისწინებული საპროექტო მომსახურების მიწოდების ეტაპების ვადის დარღვევის შემთხვევაში, გადაუხადოს პირგასამტეხლო შემსყიდველს, მთლიანი საპროექტო მომსახურების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არაუმეტეს საპროექტო მომსახურების ჯამური ღირებულების 10%-სა.

15.1.9. წინამდებარე ხელშეკრულების 15.1.8. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, დაკისრებული პირგასამტეხლო, გამოქვითოს გაწეული მომსახურების ღირებულებიდან და პირგასამტეხლოს დარიცხვა, ან გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.2. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები:

15.2.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს მხარეთა შეთანხმებით.

15.2.2. შემსყიდველს ასევე შეუძლია ცალმხრივად (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურების დაცვის გარეშე), მთლიანად, ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება:

15.2.2.1. თუ მიმწოდებელს, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ, ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში ობიექტურად და დასაბუთებულად არ შეუძლია შეასრულოს სამუშაოები, ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილი.

15.2.2.2. თუ მიმწოდებელს ობიექტურად და დასაბუთებულად არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე არსებითი ვალდებულება.

15.2.2.3. მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში.

15.2.2.4. მიმწოდებელი აჩერებს სამუშაოთა წარმოებას ზედიზედ 10 (ათი) დღეზე უფრო ხანგრძლივი დროით, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც ეს შეჩერება ასახული იყო კალენდარულ გრაფიკში ან ნებადადართული იყო შემსყიდველის მიერ ან შეჩერება განხორციელებულია ხელშეკრულების მე-14 მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში ან შეჩერება არ იწვევს გრაფიკის დარღვევას.

15.2.2.5. სამუშაოთა ზედამხედველი გამოსცემს შეტყობინებას, რომ რომელიმე დეფექტის აღმოუფხვრელობა (რომლის არსებობის თაობაზე მხარეთა შორის არ არსებობს შეუთანხმებლობა, ან რომელიც დადასტურებულია დამოუკიდებელი ექპერტის მიერ) წარმოადგენს ხელშეკრულების არსებით დარღვევას და მიმწოდებელი ვერ შეძლებს ამ დეფექტის გასწორებას ზედამხედველის მიერ დასაბუთებულად დადგენილი დროის განმავლობაში.

15.2.2.6. მიმწოდებელი არ წარმოადგენს საჭირო საბანკო გარანტიებსა და დაზღვევის პოლისს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.

15.2.2.7. ამ ხელშეკრულების ზოგადი პირობების 15.1.4. პუნქტით გათვალისწინებული გარემოების დადგომისას.

15.2.2.8. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15.2.3.3. მიმწოდებლის მიერ ცალმხრივად იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ხელშეკრლების პირობების შესაბამისად, შემსყიდველი განსაზღვრულ ვადაში არ უზრუნველყოფს სააავანსო ანგარიშსწორებას ან 60 დღეზე მეტი ვადით გადააცილებს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ნებისმიერ ანგარიშსწორების ვადას.

15.2.4.იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს/მომსახურების შესრულების პერიოდში, ხელშეკრულების ვალუტის (ლარის) აშშ დოლარში და ევროში კონვერტაციის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსი 60 დღიანი პერიოდის/პერიოდების განმავლობაში საშუალოდ გადააჭარბებს ტენდერის გამოცხადების დღეს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული, ამ ვალუტებთან მიმართებაში გაცვლით კურსს 51%-ით ან მეტით, მიმწოდებელს ასეთი 60 დღიანი პერიოდის გასვლის მომენტიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში წარმოეშობა უფლება, შემსყიდველისთვის 2 (ორი) კვირით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების გარანტიის გამოთხოვნის გარეშე. ამასთან ერთად ამ მომენტისთვის შემსრულებელს არ უნდა გააჩნდეს ჩამორჩენა შეთანხმებულ სამუშაოების გეგმა-გრაფიკთან, არ უნდა ჰქონდეს გამოსასწორებელი დეფექტი და არ უნდა ჰქონდეს დარიცხული ჯარიმა ან/და საურავი.

15.2.5. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ამ უკანასკნელის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტამდე სამშენებლო ობიექტზე ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მთლიანი ღირებულება და ასევე შეწყვეტით გამოწვეული ზიანი/ზარალი. ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულებას შემსყიდველი განსაზღვრავს მისი ზედამხედველის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე (ორაზროვნების გამოსარიცხად ზედამხედველის მიერ გაცემული დასკვნა არ წარმოადგენს მიმწოდებლისთვის სავალდებულო დოკუმენტს).

15.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.4. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება წყდება მიმწოდებელის მიერ ხელშეკრულების პირობების არსებითი დარღვევების გამო, სამუშაოთა ზედამხედველი ადგენს დოკუმენტს, რომელშიც შეფასებულია შესრულებული სამუშაოების ღირებულება და მიმწოდებელისათვის უკვე გადახდილი თანხები. მიმწოდებელს, ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო, ჯარიმის სახით დაეკისრება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიით განსაზღვრული თანხა. ამ შემთხვევაში, სამუშაოთა დასრულების ვადის გადაცილების ჯარიმა არ იქნება გამოყენებული. თუ საერთო თანხა, რომელიც ერგება შემსყიდველს, აღემატება თანხას, რომელიც ერგება მიმწოდებელს, განსხვავება ჩაითვლება დავალიანებად, რომელიც დაფარული უნდა იქნეს მიმწოდებელის მიერ, ხოლო თუ საერთო თანხა რომელიც ერგება მიმწოდებელს აღემატება შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისთვის გადახდილ თანხას, მაშინ სხვაობა გადახდილ

უნდა იქნას შემსყიდველის მიერ.

16. დასკვნითი პირობები:

16.1. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა:

16.1.1. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება შესაძლებელია განხორციელდეს დამფინანსებელი ბანკ(ებ)ის თანხმობით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და უნდა გაფორმდეს ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულების პირობების ცვლილების შესახებ შეთანხმებით.

16.1.2. გარდა ინდექსაციისა, ხელშეკრულების ფასის შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

16.1.3. ორაზროვნების გამოსარიცხად ინდექსაციის საფუძველზე ხელშეკრულების ფასის შესაძლო გაზრდა არ განიხილება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით განსაზღვრულ შემთხვევად და შესაბამისად ინდექსაციის შედეგად ფასის შესაძლო გაზრდა არ არის შეზღუდული 10%-ანი ზღვრით.

16.2. სადავო საკითხების განხილვა:

16.2.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების, ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

16.2.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს, დავის გადაწყვეტის მიზნით, შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

16.3. სხვა პირობები:

16.3.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, მხარეების მიერ ხელმოწერილია უფლებამოსილი წარმომადგენლების კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით, ან/და დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული შტამპით და ძალაში შედის მისი ორმხრივად კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით, ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით დამოწმებისთანავე.

16.3.2 „დამფინანსებელი ბანკ(ებ)ის“ არსებობის შემთხვევაში, შემსყიდველს, მიმწოდებელს და დამფინანსებელ ბანკ(ებ)ს შორის გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დამატებითი საკითხები.

16.3.3. მხარეების ოფიციალური საკონტაქტო მონაცემები მიეთითება სპეციფიკურ პირობებში.

ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები

ქვემოთ მოყვანილი „ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები“ ავსებს და აზუსტებს „ხელშეკრულების ზოგადი პირობებით” განსაზღვრული საკითხების მნიშვნელობებს და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. მათ შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება წინამდებარე „ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებს“.

კონტრაქტის ზოგადი პირობები **2.1.1.**	მომსახურების გაწევის და სამუშაოების შესრულების საერთო ვადა: **ხელშეკრულების გაფორმებიდან ---------- (დეტალური ინფორმაცია მომსახურების გაწევის და სამუშაოების შესრულების ვადების შესახებ განისაზღვრება ხელშეკრულებაზე თანდართული ტექნიკური დავალების შესაბამისად).**
კონტრაქტის ზოგადი პირობები **2.2.**	ხელშეკრულების მოქმედების ვადა: ---------- **ჩათვლით**.
კონტრაქტის ზოგადი პირობები **4.1.**	ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ოდენობა: **მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების არანაკლებ -% -ის ოდენობით.** ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა: --------- **ჩათვლით**.
კონტრაქტის ზოგადი პირობები **5.1.1.**	მინიმალური სადაზღვევო დასაფარი თანხა ობიექტის დაზიანების კომპენსაციისათვის შეადგენს ხელშეკრულების ფასის 100 (ასი) პროცენტს.
კონტრაქტის ზოგადი პირობები **6.1.**	ხელშეკრულების ფასი: მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება, მომსახურების გაწევასთან და სამუშაოების მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და მიმწოდებლისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით შეადგენს საორიენტაციოდ ---------- **ლარს.**
კონტრაქტის ზოგადი პირობები **8.2.**	მშენებლობის ზედამხედველი: „შემსყიდველის“ უფლებამოსილი წარმომადგენელი, ინჟინერი, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული პირი და ,,შემსყიდველის'' მიერ კანონმდებლობის შესაბამისად დაქირავებული აკრედიტებული პირი.
კონტრაქტის ზოგადი პირობები **8.3.**	პროექტზე პასუხისმგებელ პირი: „შემსყიდველის“ უფლებამოსილი წარმომადგენელი, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული პირი.
კონტრაქტის ზოგადი პირობები **10.1.2.**	„შემსყიდველის“ წარმომადგენელი: დირექტორი:. „მიმწოდებლის“ წარმომადგენელი: დირექტორი, ----------
კონტრაქტის ზოგადი პირობები **14.3.3.**	„შემსყიდველის“ ოფიციალური საკონტაქტო მონაცემები: ----------

„შემსყიდველი“ **„მიმწოდებელი“**

_____ _____

	ერთი ტიპიური კორპუსის გეგმა-გრაფიკი				დანართი N1
#	ძირითადი სამუშაოების დასახელება	განზ.	რაოდ.	ღირებულება (ლარი)	პროცენტი
1	მიწის სამუშაოები	100%			2.00%
2	რკინაბეტონის კარკასი	კუბ.მ/(ან სართ)			35.00%
3	ბლოკის წყობა	კვ.მ			5.00%
4	სახურავი	1			1.00%
5	ფასადის კარ-ფანჯარა	კვ.მ			3.50%
6	ფასადის მოპირკეთება	კვ.მ			7.00%
7	შიდა ლესვა	კვ.მ			5.50%
8	შიდა მოჭიმვა	კვ.მ			3.00%
9	კედლების მოპირკეთება	კვ.მ			8.50%
10	იატაკების მოპირკეთება	კვ.მ			4.00%
11	ჭერები	კვ.მ			5.00%
13	შიდა კარები	ცალი			3.00%
14	MEP დაქსელვა	ბინა			13.50%
15	MEP მოწყობილობები	ბინა			3.00%
16	ლიფტები	ცალი			1.00%
					100%